DEUTSCHE WIRTSCHAFTS VEREINIGUNG | გერმანიის ეკონომიკური გაერთიანება



ძვირფასო DWV-ს წევრებო და მეგობრებო,

ჩვენს ქართულენოვან ბიზნეს ბიულეტენში ჩვენ თქვენთვის კვლავ შევაჯამეთ სიახლეები DWV-სა და მისი წევრი კომპანიების/პარტნიორების, ჩატარებული და დაგეგმილი ღონისძიებების, წევრების ექსკლუზიური შეთავაზებებისა და მნიშვნელოვანი ბიზნეს სიახლეების შესახებ. ბიულეტენის ბოლოს იხილავთ სპეციალურ შეთავაზებებს ჩვენი მკითხველებისთვის.

იცოდით, რომ

- გერმანიის ინდუსტრიის საერთაშორისო თანამშრომლობის ფონდი “სენიორ ექსპერტთა სერვისი (SES)“ გერმანელ ექსპერტებს აგზავნის გერმანიისა და სხვა ქვეყნების კომპანიებში კონსულტირებისა და თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით.
- DWV 2013 წლიდან არის SES-ის ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოში და უზრუნველყოფს ექსპერტების მოწვევის ორგანიზებასა და კოორდინირებას.
- მოწვეული ექსპერტები უზრუნველყოფენ როგორც პროფესიული კადრების გადამზადებას, ასევე, პროდუქტების, სერვისებისა და პროცესების ოპტიმიზაციას.
- ექსპერტები მომსახურებას სთავაზობენ მცირე და საშუალო საწარმოებს, სახელმწიფო სტრუქტურებს, ბიზნეს ასოციაციებსა და მომსახურების სექტორებს, რომელთა შორისაც არიან სოციალური, სამედიცინო ინსტიტუტები და პროფესიული სასწავლებლები.

გერმანელი ექსპერტების მოწვევასთან დაკავშირებით დამატებითი

ინფორმაციისთვის დაუკავშირდით ქ-ნ მარია ბრეგაძეს ელ-ფოსტაზე:
maria.bregadze@dwv.ge



გახდი წევრი

19. აგვისტო 2026 | The Biltmore Hotel Tbilisi
შოთა რუსთაველის გამზირი 29, თბილისი 0108.
Get Together

3. სექტემბერი 2026 | Tbilisi Philharmonic by Mercure Hotel, 10 პეტრე მელიქიშვილის ქუჩა, თბილისი 0179.

Expert Talk: **ახალი განვითარებები და ბიზნესშესაძლებლობები ცენტრალურ აზიაში** Germany Trade & Invest-**ის** (GTAI) **წარმომადგენელთან, ბატონ დოქტორ უვე შტრობახთან ერთად**

8. **ოქტომბერი** 2026 |
ბიზნეს ფორუმი

ღონისძიებებთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაციის მისაღებად დაუკავშირდით ქ-ნ. მარიამ თუშიშვილს mariam.tushishvili@dwv.ge

ჩატარებული ღონისძიებები






2026 წლის ივლისში DWV-მ ჩაატარა:

- **სემინარი**: **ხელოვნური ინტელექტი ბევრად მეტია, ვიდრე უბრალოდ ჩატბოქსი**
  Radisson Blu Iveria Tbilisi Hotel-ში
- DWV-**ის ეკონომიკური შეხვედრა**
  Radisson Blu Iveria Tbilisi Hotel-ში

შეთავაზებები ჩვენი წევრებისთვის







სპეციალური შეთავაზება საქართველოს მოქალაქეებისთვის – 450 ₾

პაკეტი მოიცავს:

- ერთღამიან განთავსებას ორ პერსონაზე
- ოთახის კატეგორიის უფასო გაუმჯობესებას
- გვიან Check-out-ს დამატებითი დასვენებისთვის (ხელმისაწვდომობის მიხედვით)
- წვდომას სპა ზონასთან: აუზი, საუნა და ფიტნეს დარბაზი
- 20%-იან ფასდაკლებას ყველა სახის მასაჟზე
- 20%-იან ფასდაკლებას ყველა რესტორანსა და ბარში

ფასი მოცემულია ორ პერსონაზე და მოიცავს დღგ-ს.

შეთავაზება ძალაშია 31 აგვისტომდე.



წევრების სიახლეები

TBC ტექნოლოგიური კონფერენციის Change Inspire 2026-ის მთავარი პარტნიორი იყო, რომელიც საქართველოში ერთ-ერთ უმსხვილეს ტექნოლოგიურ ღონისძიებად ითვლება. ღონისძიების მთავარი თემის „Big Tech. Global Legends. One Future.“ ფარგლებში ყურადღება გამახვილდა ხელოვნურ ინტელექტზე, დიგიტალიზაციაზე, მონაცემებზე, კიბერუსაფრთხოებასა და ტექნოლოგიურ ინოვაციებზე.

ProCredit Bank Georgia ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან (EBRD) ერთად ახორციელებს Women in Business პროგრამას. პროგრამა მეწარმე ქალებს ფინანსური და არაფინანსური სერვისებით უჭერს მხარს და ხელს უწყობს

მათ გაძლიერებას ბიზნესის მართვის, ფინანსური დაგეგმვისა და მდგრადი ზრდის მიმართულებით.

Orient Logic-**მა**, როგორც მრავალწლიანმა პარტნიორმა და პირველმა სპონსორმა, მხარი დაუჭირა კიბერუსაფრთხოების მე-10 საერთაშორისო ფესტივალს 2026. ღონისძიების მთავარი თემები იყო კიბერმდგრადობა ხელოვნური ინტელექტის ეპოქაში, კიბერჰიგიენა, მონაცემთა დაცვა, თანამედროვე კიბერშეტევები და AI-ზე დაფუძნებული თავდაცვის სისტემები.

DSV Georgia-**მ რებრენდინგი დაასრულა**

DSV-ისა და Schenker-ის ინტეგრაციის შემდეგ, DSV Georgia-მ კომპანიის რებრენდინგის პროცესი ოფიციალურად დაასრულა. მომავალში Schenker-ის ბრენდი საქართველოს ბაზარზე აღარ იქნება წარმოდგენილი და ყველა საქმიანობა DSV-ის ბრენდის სახელით გაგრძელდება. George Gamtsemlidze კვლავ რჩება DSV Georgia-ს მმართველ დირექტორად, რაც მომხმარებლებისა და პარტნიორებისთვის საქმიანობის უწყვეტობას უზრუნველყოფს.

ყველა სიახლეს გაეცნობით აქ

გერმანიის ეკონომიკური გაერთიანება
რუსთაველის გამზ. 24, 0108 თბილისი
Tel.: +995 32 220 57 67
E-Mail: info@dwv.ge
www.dwv.ge

ბიზნეს ბიულეტენის გამოწერის გასაუქმებლად დააჭირეთ
ქვემოთ მითითებულ ბმულს.